სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1778

ქ. თბილისი

14.11.2014

2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხული, პირველი წლის სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდის გადავადების შესახებ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამაგისტრო საფეხურის პირველი წლის სტუდენტთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში სწავლის საფასურის გადახდის ვადად განსაზღვრული იყო 2014 წლის 15 ნოემბერი. ვინაიდან ჯერ კიდევ არა არის ცნობილი 2014 წლის ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საგრანტო შედეგები, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით,

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-19 მუხლის და მე–20 მუხლის 1–ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, გიორგი გვალიას 2014 წლის 14 ნოემბრის N03-37726/14 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, დავით თარხნიშვილის 2014 წლის 14 ნოემბრის N03-37781/14 სამსახურებრივი ბარათის, ბიზნესის სკოლის დეკანის, მიხეილ ბატიაშვილის 2014 წლის 14 ნოემბრის N03-37791/14 სამსახურებრივი ბარათის, სამართლის სკოლის დეკანის, გია გეწაძის 2014 წლის 14 ნოემბრის N03-37805/14 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხული, პირველი წლის სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 24 ნოემბერი.

2. 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხულ, პირველი წლის სტუდენტებს, 2014 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით სწავლის საფასურის

გადაუხდელობის გამო არ დაეკისროთ ჯარიმა. 2014 წლის 25 ნოემბრიდან ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს დაეკისრებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე